

## ებრაული მელოდია

1

ბაბილონიდან  
ახლო იყო მაინც სიონი,  
მოჰქონდათ სუნთქვა  
კედრონისა უდაბნოს ქარებს.  
და სდარაჯობდა  
გულზვიადი კავკასიონი,  
ხალხთა ტომების  
გადარაზულ, დაკეტილ კარებს  
ცრემლი ცრემლია,  
ორმაგია ცრემლი მიწისა:  
იჯდენ, სტიროდენ  
მდინარეზე ბაბილონისა.  
თითქო ათას წლის  
წინ ედგათ მკვდარი,  
არაქსის მოთქმას  
ბანს აძლევს მტკვარი.  
მოჰყვება რიჟრაჟს,  
წაჰყვება დაისს,  
ისმის ზრიალი  
ოჰ, ადონაისს.  
ტანჯვა-წამება  
რაც შეაგროვა,  
რისხვად თავს აყრის  
ხალხს იელოვა.  
ეს წიგნი სისხლით  
შეღებია  
და სისხლს მოითხოვს  
მაინც ბიბლია.  
დახუჭავ თვალებს  
და სიზმარში ცრემლნი მოდიან,  
აქამდე სტილის  
ებრაული ეს მელოდია.  
და ჟღერს უკვდავი  
ბაირონის მრისხანე ქნარი,  
ჰანრიხ ჰაინეს  
მიმატებულ ცრემლით დამდნარი.  
პოეტის სიყრმე

განა ამ ხმას სადმე ასცდება? ..  
ჩქარა, მგოსნებო,  
თორემ გული მართლა გასკდება...

2

მეც მაგონდება ჩემი ბავშვობა,  
მესმის, ღულუნებს დავითის ქნარი.  
Áაფეთის ქალი, პანტოფრეს ცოლი,  
ყრმა იოსების მშვენებით მკვდარი  
და სიდონია, სვეტიცხოველი,  
შემოხიზნული აბიათარი.  
ამ დროს ეზოში დაყეფავს ძალღი  
ლა მიასკდება გაღებულ ჭიშკარს,  
შუკის ბოლოში ისმის ძახილი  
და, დანიელა მოუხმობს მუშტარს.  
წინ გაუგდო თავის ისაკა,  
ერთს თვითონ იტყვის, სხვას ბავშვი  
-საპონი, შპილკა, გუნდა, მიხაკი,  
ნუთუ არ გინდათ, ხალხო, არავის?=  
აბა ფართალი, ფარჩა, ფართალი!  
დაედევნება მეწვრილმანესა  
ცელქი ბიჭების მთელი კალია,  
და საწყალ ცხენის ძუა სად არი?=  
ფიცავს და სტირის, ცრემლი არ გჯერა,  
ღმერთსაც ატყუებს დღეში ასჯერა.  
ვინ იცის, თავს მას რაოდენი გადახდენია  
თრევა, წანწალი და ჩარჩობა მისი ბედია.  
ცრემლით ვთხოვ დედას, ამ საწყალ კაცს ნუ ევაჭრება,  
თითქო გულს ადევს თავის. ადღზე საპნის ნაჭრებად.  
შემდეგ გავიგე ამ საწყალის ხმა განწირული,  
როცა ბეილისს გაუმართეს გასამართლება.  
გრგვინავდა მაშინ სტუდენტების გული გამირული,  
მაგრამ მართალი გულის კაცი აქ რას გახდება.  
ღატაკ უბნებში გაიმართა ფიცხელი ომი,  
საბედისწერო მე ვიგრძენი სიტყვა "პოგრომი".